

ნახ. ლ. ერიშვილი



— საღამოს სკოლიდან მოგყავს?! სანამდე უნდა ატარო ასე ეს
 უფნი მუტრუპი?
 — კენსიამდე მივიყვან და მერა თვითონ იცის!

ქართული

ბალაკტიონისეზურად


მოქალაქე, თქვენ ამბობთ, რომ რაც დასლზე ძვეს გასაყიდად, ერთიანად წყალს რომ მივცეთ, არ დაგვწყდება გული დიდად?.. რომ საქონელს, ხარისხიანს, ძნელად ვპოვებთ თბილისს შინა — გაქრა, როგორც მოჩვენება, მარტო დასლქვეშ უდევს ბინა? ეჰ, არ მომწონს ეგ წუწუნი, მომბაბურე კიდევ თავი! ასე როდი მოისპობა ეს სურათი გულსაკლავი! შევუტოთ, არ დავინდოთ მე, შენ, მან და... ნახავ მალე ყველა დასლქვეშ გამყიდველის მხოლოდ ფეხებს, გენაცვალე!

მუხრანისეზურად

ტა, ტა, ტა, ტა! — რანაირად ცხოვრობს მავანი! სო, სო, სო, სო! — ხელფასს როგორ ელოდება სხვა! არა! ქურდის მისაბაძი რა მჭირს, — თვარა, — კი!.. როცა ქურდი მე არ მბაძავს, მე მივბაძო მას? მე — პატრონი დიპლომისა ჯამაგირზე ვზი!.. ის — უდიპლომ-უსირცხვილო — ზევით იწევს ცხვირს!.. რა გინდა, რომ მას არ ჰქონდეს, ენა იტყვის რას?! — სრასახლეები, მანქანები, აგარაკი ცხრა, ვინ იცის, სად დამალული ოქროს მარაგი!.. თუ ღმერთი გწამს, თუ კაცი ხარ — ბნელა? — თვარა, — კი!

* * *
შენი გზა, ვიცი მე, როგორ მიდის — აუვლის ნამუსს, გვერდს უქცევს სინდისს!.. ხან — ხვრელში ძროხით, ხან — ბეწვის ხილით, ხან — ხელის ჭუჭყით, ხან მიდის გიდიო!.. შენი გზა, ვიცი, საითკენ მიდის! ვაგლახ, ჯერ გაგდის, მაგრამ სანამდის?! წამალი შენი — სახრეა შინდის! შენ ის მითხარი, როდემდის, თორემ, ბოლოს შენი გზა ციხესთან მიდის!

გივი ჩხაიძე



უსიტყვოდ



- სად ხრავ ახლა?
- სამმართველოში! შენ?
- სამინისტროში!



დიალოგი



გურამ რუსია

ქუთაისის ავტოქარხნის პარტიულ კომიტეტში დიდხანს არ უფიქრიათ: „სანიანგო“ ინტერვიუსთვის გურამ რუსია ზედგამოჭრილია და ყრილობის დელეგატიც გახლავთო. ცოტაც და, ოთახში ლურჯბერეტიანი, სახემოდინარი კაცი შემოვიდა... დანარჩენს სტენოგრამა გეტყვით!

გურამი: — გამარჯობათ!

— გაგიმარჯობთ! მე „ნიანგის“ დავალებით გეხელოთ!..

გურამი: — მოვდიოდი და ვფიქრობდი, სანიანგო რა მჭირს-შეთქი?!

— მხოლოდ კარგი და სამხიარულო, ჩემო გურამ!.. რამდენიმე შეკითხვა..

გურამი: — ბრძანეთ!

— ცოტა რამ საკუთარ თავზე.

გურამი: — დავიბადე 45 წლის წინათ. მეორე კლასიდან უდემამოდ ვიზრდებოდი ბიკოლასთან. დავამთავრე პროფტექნიკური და პირდაპირ მოვედი აქ, ავტოქარხანაში.

— მეგზური გყავდათ?

გურამი: — კი, ტრისტან სტურუა. აქ მუშაობდა. ახლაც დიშელის სამქროშია. ჩემი მეზობელი გახლავთ. ბავშვობიდან ჩხირკედლაობა გიყვარდა და ქარხანაში ივარგებო, მითხრა.

— გაუმართლა?

გურამი: — მე მგონი. 25 წელი შახების სამქროში ვიმუშავე. ახლა აგრეგატულში ვარ. შეექვეს თანრიგის გამმართველი გახლავართ. გამომუშავება თვეში 300-350 მანეთი მაქვს, შრომითი დიდების ორდენის კავალერი და რაიონული საბჭოს დეპუტატი ვარ, საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის წევრად ამირჩიეს!

— ავაშენოს! ახლა ცოტა რამ საკუთარ ოჯახზე!

გურამი: — მყავს ორი ქალიშვილი და ერთი მეუღლე. უფროსმა, ელიზამ, წარჩინებითი დიპლომით დაამთავრა უნივერსიტეტი და აქვე, აგრეგატულ სამქროში მუშაობს ეკონომისტად. უმცროსი, ეკა, მერვე კლასშია, კარგად სწავლობს.

— გული საით მიუწევს?

გურამი: (იციხის): — პოლიტექნიკურისკენ, ავტომშენებელი უნდა გამოვიდეთ.

— კვიცი გვარზე ხტისო... მშობლიურ საწარმოზე რას გვეტყვით?

გურამი: — ქუთაისის ავტოქარხანა საქვეყნოდ ცნობილი საწარმოა და რაიმე ახლის თქმა გამიჭირდება. ისე, თუკი რაიმეს წარმოვადგენ, ამ ქარხნის მადლითაა. რომ მითხრან ოცდაოთხი საათი აქ იყავიო, ვიქნები. ბალიშს მოვიტან და სამქროში დავიძინებ. არ მიღალატია და არც ვუღალატებ!

— რა მოხდა XXVI ყრილობის შემდეგ განსაკუთრებით სასიხარულო?

გურამი: — ახალი მანქანის გამოშვება დავიწყეთ, უმაღლესი რამეა. სოფლისათვის შეუცვლელი მანქანაა: 170 ცხენისძალა აქვს, ყველგანმავალია, სამართავად საკმაოდ რთულია — გამოცდილ მძღოლებსაც ორთვიანი კურსების გავლა სჭირდებათ. მანქანა დიდებულია, მცირე ხარვეზები აქვს სიჩქარეთა კოლოფში, მაგრამ საგანგებო კომისია მუშაობს და ალბათ გამოსწორდება.

— კიდევ რა იყო სასიხარულო?

გურამი: — ახალი მანქანა.

— ეგ ხომ თქვით?!

გურამი (იციხის): — ჩემი მანქანა... ქარხანამ „გაზ-24“ მომცა. ჯერ ერთი წელიც არ არის.

— ყიდვა არ გაგიძნელდათ?

გურამი: — არა. საკუთარი მელორეობის მეურნეობა მაქვს. მარტო წელს უკვე ოთხმოცი გოჭი ჩავაბარე. სასურსათო პროგრამას საქმით ვუბახუხებ.

— ყოველ შუქს ჩრდილიც ახლავს...

გურამი: — ჭუმარიტეხება! არის რამდენიმე მოსაგვარებელი საკითხი. სურსათის პრობლემა ავიღოთ: ხილ-ბოსტნეულის მაღაზიები საგანგებოდ გაძარცვულები გვეგონება. კოოპერაციულში ყველაფერია, მაგრამ ბაზრის ფასებზე შაურით ნაკლებია. ბაზრის საკითხიც მოსაგვარებელია. დადგენილებები კი გამოვიდა, მაგრამ ქალღმერთ დარჩა. ქორვაჭრები ისევ ქორვაჭრობენ. ადამიანს გული უტყდება. თუ კაცმა ხელი ჩაიქნია, მაგაზე ცუდი არაფერი არაა!.. გათბობის საქმეც ვერ არის კარგად. მიღები ცივ წყალში ყრია, არავითარი იზოლაცია! ვეფიცნებით ელექტროქურბს, ლიმონივით შეფუთულები ვსხედვართ. სახლში მისულმა კაცმა გვერდები თუ არ გაითბე, ძნელია!..

— ქუთაისურ სამრეწველო პროდუქციაზე რას იტყვით?

გურამი: — თითქოს გაუმჯობესდა.

— ქუთაისურ ფესხაცმელს აქებენ.

გურამი: — უკეთესია! ადრე ორ დღეში იხეოდა, ახლა სამ დღეს ძლებს.

— სპორტი გიყვართ?

გურამი: — ძალიან. ფეხბურთს არ ვაძენ. ჩემი ქარხნის გუნდის გულშემატკივარი ვარ. წელს რომ მითქმა-შოთქმა ატყდა „ტორპედოზე“, მოგონილი ჭორია. რა გაუკვირდით კიევის „დინამოსთან“ მივება?! ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენ არ ჩამოვხსენით თითქმის ჩამოკიდებული ოქროს მედლები?! აბა, ყორჟიკავილის გოლი რაიმეთი საეჭვო იყო?!

— ხუმრობა თუ გწყინთ?

გურამი: — არასოდეს მწყინია.

— „ნიანგს“ თუ კითხულობთ?

გურამი: — გამომწერილი მაქვს.


— მოგწონთ?

გურამი: — კარგია, ნაკლოვანებებს ებრძვის, ძალას არ იშურებს. ისე, მეტი სიმწვავეს შეიძლება!


— თქვენს სურვილს გადავცემ. მადლობა ინტერვიუსათვის!

გურამი: — მეც გმადლობთ!

ესაუბრა „ნიანგის“ სპეცკორესპონდენტი **ლარი ჩანტლაძე**
მეგობრული შარჟი **მ. გოგოლაძისა**



სახლმშენებელი ავტონსპექტორის თანამშრომელთა შორის ბევრია არაკომპეტენტური, ისეთი პიროვნება, რომელიც ნდობას არ იმსახურებენ და ხშირად გამოძალვას კადრულობენ.



არაკომპეტენტური „მშველავი“

შინადაც

— არიქა, უშველეთ, ისრჩობა!
ახალგაზრდა ვაჟმა, ყოფილმა სპორტსმენმა, იმარჯვა: ძალით გამოსტაცა აბობოქრებულ თამადას, სახლამდეც ტაქსით მიიყვანა. მშველელს თავისი ვინაობა არ გაუმხელია.

— ჭკვიანი კაცია ჩვენი არქიფო: ადრე წყალღვინოს აყენებდა, ახლა ღვინოს ცალკე ინახავს, წყალს — ცალკე.

* * *

შინ გვიან დაბრუნდა, დაღლილი იყო. ნავახშმევს ცოლმა აბაზანა მოუმზადა.

ფართო აუზში ყელამდე ჩაძირულს, ონკანებიდან მოჩხრიალე წყლის სასიამოვნო სმაურზე, თვალწინ დაუდგა ერთობ დატვირთული, შინარსიანად გატარებული სამუშაო დღე: როგორ მარჯვედ შეადგინა და რამდენ შუუგუნებულ მოქალაქეს გაუგზავნა დელიკატურად შედგენილი წერილი: „სახლმშენებლობა გთხოვთ, მომჭირნედ ხარჯოთ წყალი!“

ეს იყო მხოლოდ, კვლავ ვერ მოიცალა, გაეფრთხილებინა შესაბამისი სამსახური, რომ გადაეკეტათ ერთი თვის წინათ დაზიანებული მთავარი მაგისტრალის მილი.

* * *

ზარის ხმაზე კარი გააღო და, კარგა ხნის უნახავი მეზობელი რომ დაინახა, გაუხარდა.

— მობრძანდი, ჩემო პავლე! მოდი დავსდეთ, ვიჭუჭუკოთ! სომ იცი, ექვსნაირი ღვინო მაქვს უღევად!..

— სომ ვერ მომიხერხებდი ერთ გრაფინ წყალს?

— დიდებული ოჯახი შეუქმნია ჩემს მოყვარულს: ათ წელიწადში — სახლი, მანქანა, გარაჟი, აგარაკი!..
— შეილები?
— მაგი არ მიკითხავს!..

ა. ბარაკია



1
კაცი არ გიცნია, ღმერთი არ გიგრძნია, მანამ, სანამ ისევ ციხით დაგტორავდნენ!..
თუ არ ინამუსე, ერთი ნაბიჯია კომბინატელიდან კომბინატორამდე!

2
მთვრალმა ინსპექტორსაც ღიმილი მოჰფინე, მაინც გაუცინე, მაინც გაეზადრე!..
ვაი, რა პატარა მანძილი ყოფილა „ჩაის“ კარებიდან „გაის“ კარებამდე!

3
ბარბაცი ლოთების ბედის ნაფიცია, ათასს აეკიდე, ათასს მიებლანდე!..
ბევრი არაფერი, ერთი ნაბიჯია გალოთკაცებიდან გათახსირებამდე!

4
გგონია, ივარგებ არწივის ძმობილად, მაგრამ სულს სანამდე დარღით დაწებავდე, იცოდე, პირუკუ მანძილიც ყოფილა დიდი კაცობიდან გადიღკაცებამდე!

5
ნაწერებს — შხამიან აზრებით ფოფინას — მაინც არ ეშვები, მთლად რომ განიავდე!
ვაი, რა პატარა მანძილი ყოფილა „ანონიმებიდან“ ანომალიამდე!

6
მამობაზე კარგი მეტი რა გიგრძნია, ასე შერცხვენილი სანამ დალოღავდე?!
ალიმენტის გარდა, ერთი ნაბიჯია მამამშობლობიდან მამაძაღლობამდე!

7
წყვილი დაგიშლია, კენტი გაგიცნია, დადაფნულ მწვერვალებს, კარგია, ტორავდე, მაგრამ ძალზე ხშირად ერთი ნაბიჯია კარგი ავტორიდან პლაგიატორამდე!

8
„ლორდების“ სიაში თითქოს არც ვყოფილვარ, „ბებია თუ გყავსო?!“ — დასცდა გარეგან დევს! ბიჭოს, რა პატარა მანძილი ყოფილა დასაფლავებიდან დასტა „ფარებამდე“!

9
სხეულს, უსიცოცხლოს, ჯაფით მიათრევ და ღროს იხსენებ — წასულს მოყვინჩილებამდე!
მეტი რალა გითხრა? — ნაბიჯი ყოფილა მორფის „ჩხირებიდან“ კოხის ჩხირებამდე!

10
ათას მუქთახორას ეტირა „ბიძია“!..
იქვე სავარძელში, ფეხი ფეხს მიაღდე, მაგრამ ეს გახსოვდეს: ერთი ნაბიჯია დეზერტირობიდან დეზინფექციამდე!

არჩილ ფირცხალავა

პიკეტაჟი!



რაჭული იუმორი, უფრო სწორად — ანექლოტიანი რაჭველებზე

რაჭველი ოდითგანვე განთქმული იყო პატიოსნებითა და სიკეთით. წინათ კაცი რომ იტყოდა, რაჭველი ვარო, პასპორტს აღარავენ უსინჯავდა, არც სხვა რაიმე საბუთს სთხოვდა, ყოველნაირად ენდობოდნენ.

რაჭველს ადამიანური სითბო და თავმდაბლობა, მუყაითობა და შრომა-გარჯის სიყვარული თავსაყრელად ჰქონდა, მხოლოდ მიწა აკლდა მუღამ, ცოტა ჰქონდა და თანაც მწირი, კლდეზე დაკიდებული აკლდა მარჩენალი მიწა! იმ მიწაზე მოყვანილი ლუკმა, სარჩო-საბადებელი და ჭირნახული ნახევარ წელიწადსაც ძლივს ჰყოფნიდა. ამიტომ აქაური კაცი ერთობ შორს მიდიოდა სამოვარზე, ზოგი — იაპონიასა და ამერიკაშიც კი. საქვეყნოდაა ცნობილი ის ამბავი, ამერიკის აღმომჩენ კოლუმბუს გემიდან გადასვლისას პირველი რაჭველი იონა რომ შეეგება: ბატონო, თონის პურსა და ხაშს რომ არ ინებებთო!

ასე რომ, ამერიკა პირველად რაჭველებმა აღმოაჩინეს, მართალია, ეს მეცნიერულად ჯერ არავის დაუმტკიცებია, მაგრამ... გამომჩნდება ვინმე, ამ თემაზე დისერტაციას დიციავს და საქმეც მოკვარაზვინდება. მე ვიქნები ამის თავმდები.

რაჭველს თავი რომ გაეტანა, ოჯახი რომ ერჩინა, წლობით იკარგებოდა და შინ ერთობ გვიან ბრუნდებოდა. იგი უსაქმოდ არსად რჩებოდა, რადგან ერთდროულად რამდენიმე ხელობა იცოდა: იყო დურგალი, კალატოზი, მჭედელი, მეპურე, მზარეული, მეკურტნე... სამოვარზე წასულ რაჭველზე ამბობდნენ, ფულის მოსაგებად წავიდეთო, მაგრამ... თავისი პატიოსანი შრომა-გარჯით ბევრს ვერაფერს მოულოდბდა (აქ მე, რა თქმა უნდა ძველ რაჭველებს ვგულისხმობ და არა აწინდელს). იგი სიმდიდრესა და ფულს კი არა, ლუკმაპურს ეძებდა ცოლ-შვილისა და ოჯახისათვის და თუ მის მოვნას მოახერხებდა, შინ კმაყოფილი ბრუნდებოდა, ბედნიერ აღდგომას ითენებდა. როგორც ყველგან, აქაც მავანი რაღაცით კეთილია, მავანი — რაღაცით გულმავი, ერთს ბედი სწყალობს, მეორეს — ჩაგრავს. მავანს ხალხი ბრძენს ეძახის, მავანს — სულელს, მაგრამ ზოგჯერ ბრძენად მონათლული ისეთ სისულელეს მოწმასავს, თმა წალყუზე დაგიდგებათ, სულელად მონათლული კი ისეთ სიბრძნეს წამოისვრის, გაკვირვებისაგან თვალები შუბლზე აგვიცივდებათ. ასეც სდება: რასაც გუშინ სისულელედ ნათლავდნენ, დღეს სიბრძნედ წარმოჩინდება და, რასაც დღეს სიბრძნეს ეძახიან, ხვალ, შეიძლება, სისულელედ მონათლოს! დრო-ვაში არა მარტო მიწას უცვლის იერს, საერთოდ ყველაფერს, რაც მიწაზე მიდი-მოდის ადამიანთან ერთად.

ჰოდა, ვინაიდან რაჭა ბევრი რამით ჰგავს და ბევრი რამით გამოირჩევა სხვა სოფელ-ქვეყნებისაგან, რაკი იგი თავისი გულისა და გონების ქვეყანაა, წინდაწინ მოკლედ ამიტომ გაცნობთ მის ბუნება-ხასიათს! რას არ ჰყვებიან რაჭველებზე!

აი, რაჭველი იონა მიდის ქალაქში. ვიღაცამ ჩაილაპარაკა: — მავანს არაფერი ჰქონისო, ვაითუ, მამაძაღლია და მოგვატყუოსო! იონა მიუბრუნდება: — არა, ბატონო, მამაძაღლს რა მიგავს, რაჭველი ვარო! — ჰო, მაშინ ბოდიშიო! — მიუგებს მგზავრი.

რაჭველი მითაყამიდან სომ კეთილ, მუყაით, უშმაკო, წმინდა და პატიოსან ადამიანს ნიშნავს, ამიტომაც შიანია მას მამაძაღლად მონათვლა შეურაცხყოფად.

მეცნიერები ამტკიცებენ: დინოზავრების გონება ყველაფერზე ერთობ გვიან რეაგირებდა. სომ უზარმაზარი კუდი დასთრევდა დინოზავრს, იმ კულს მთლიანად ისე შემოაჭამდა სხვა მხეცი, ვერც იტყვიან, რა მეთუ მის თავამდე ტკივილის შეგრძნება ერთობ გვიან აღწევდაო. მეგონი, რაჭველიმც დინოზავრების მოდგმისანი არიან, გვიანი გონებრივი რეაქციის ხალხიო. მაგრამ იქვე დასძენენ: რაჭველი ხანგრძლივი დაყოვნების ნაღმსაც ჰგავს — მართალია, გული გვიან მოუვა, გვიან გამწარდება, მაგრამ თუ გამწარდა, მტრისასო! ზოგს სჯევა ეს, ზოგს — არა.

ასეა თუ ისე, რაჭველი ერთობ ჭირთა გამძლევაა: აი გადაღმეთის სოფელ-ქვეყანაში ჩამოიარა საშინელმა ავადმყოფობამ, სახადმა... სნეულებამ ყველა უმაღვე დაფინა ძირს, ერთს კი იგი ცხრა წლის მერედა მოერია. ის ერთი კაცი უცხო მხარეს სამუშაოდ ჩასული რაჭველი იყო.

რაჭველის კიდევ ერთი თვისება: აი, ავტობუსში ავიდა რამდენიმე კაცი. მოგვიანებით ავიდა კონტროლიორიც და მგზავრებს ბილეთი მოსთხოვა. მგზავრთა ერთ ჯგუფს ბილეთი არ აღმოაჩნდა: ბოდიში, ბატონო, ჯერ ვერ მოვასწარით აღება, რაჭველები ვართ — ჰო, თუ რაჭველები ხართ, გეპატიებათო — ამბობს კონტროლიორი.



აპატიებდა, აბა, რა იქნებოდა?! ყველამ იცის, რომ რაჭველი, მართალია, გვიანი მოფიქრება-მისჯვდრილობისა, სამაგიეროდ, ზედმეტად პატიოსანიც ვასლავთ: ბილეთს არა მარტო ავტობუს-ტროლეიბუს-ტრამვაიში ასვლისას ყიდულობს, არამედ — ჩასვლის დროსაც: აი, რაჭველი იონა ტრამვაიში ავიდა, მესხთე განჩერებაზე ჩავიდა, მაშინდა მოაგონდა, ბილეთის აღება დამავიწყდაო, სხვა ტრამვაის დაელოდა, შეასტა, იყიდა ბილეთი და ჩამოვიდა.

ეს, რა თქმა უნდა, ანეკდოტებია. მაგრამ, როგორც ამბობენ, მავანი ადამიანის სულს ანეკდოტით მკაფიოდ ვერაფერი გვიხასიათებს, თუნდაც ის ანეკდოტი თავიდან სულ სხვა ვინმეზე იყოს შეთხზული, მავანს კი კისერზე ავეაროზივით ჩამოჰკიდონ. ჰოდა, რაჭველებზეც ჰყვებიან უამრავ ანეკდოტს, ზოგს — ასლად შეთხზულს, ზოგსაც — სხვებზე თქმულს და რაჭველებზე გადმოქართულებულს. ამ ანეკდოტებში ჩვენებური ადამიანი დინჯი, მუყაითი, გამრჯე, პატიოსანი და მართალია, მაგრამ ამავე დროს ერთობ გვიანი მოფიქრება-მისჯვდრილობისა. რაჭველს ბოროტად არავინ წარმოგვიდგენს, არც მატყუარად. რაჭველმა თუ ბოროტად მოგატყუა, ის სომ რაჭველიც აღარ იქნება! თუ ამ მიწა-წყლის კაცი რამეს გააფუჭებს, ანდა — შეცდომას დაუშვებს, მხოლოდ თავისი წმინდა გულუბრყვილობით, გვიანი მოფიქრება-მისჯვდრილობით, დინჯი ბუნებით, აუჩქარებლობით, მიაპიტო, გულუბრყვილო მინდობილობით ან საქციელით.

ა, ბატონო, გავისხსენათ ზოგი!

(იხ. შა-6-7 83.)

**როგელი ერთი
ჩამოვთვალო?!**



ივანე ალექსაშვილი

— უწინა აქა სუ პურისა და სიმინდის ყა-
ნები იყო (ჩვენივე სორბლის ანაბარა ვი-
ყავით და იმიტომ!). მერე და მერე გვიტხ-
რეს: პური ჩვენი და ღვინო თქვენიო! ავ-
დექით და იქ გავამენეთ ზერები, სადაც ჩვე-
ნი წინაპარი მწყერსა და ღაღღაზე ნადირობ-
და მწიფე პურის ყანებში... — შორიდან და-
იწყო საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მე-
ურნეობის № 1 სატრაქტორო კომპლექსური

ბრიადის ბრიადირმა, სოციალისტური
შრომის გმირმა ივანე ალექსაშვი-
ლმა. კარგად ვიცოდით, სხვებისგან ნა-
ამბობს რომ გვიმეორებდა, მაგრამ მაინც
გულისყურით ვუსმენდით, რადგან სოცია-
ლისტური შრომის გმირობას აგრე ჰაიპა-
რად არავის ანიჭებენ. ესეც არ იყოს, საუბ-
რისას (გაიციანთ და დააკვირდით!) თვალ-
ყური სულ ვაზისაკენ უჭირავს, ან ტრაქტო-
რისაკენ. აგერ რომ ვმსჯელობთ იმაზე, თუ
როგორ უნდა ვზრდიდეთ შვილებს, უცრად
ჩაურთავს: — ვერ იქნა და ვერ ეშველა ემაგ
სავენახე ბეტონის სარებს, მინამ ჩამოიტან-
დნენ, გზამივე იფშენება კობტონივითა. ნა-
თაღლითარია და იმათაო! ვუბნებით: —
ძია ვანო, ისე რო წავიდეს საქმე, ყურძნის
მაგიერ ისევე მამაპაპური სორბალი მოგვა-
ყვანიონ-მეთქი? ნიშნს გვიგებს: — მა ახა-
ლი სუთწლედისათვის ერთ მილიონ ტონას
რალაზე გვიგებამავენო?! თვალთაგან კი ერთ-
გვარი შემოფოთება მაინც გამოუკრთის, ანდა-
ზისა არ იყოს — კაცი ბჭობდა და ღმერთი
იციოდაო...

ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორ მიაღწია
ამოდენა წარმატებებს ერთმა უბრალო მექა-
ნიზატორმა კაცმა, ალაღად გვიპასუხა: —
რო ჩვენ მეურნეობის დირექტორს გუ-
გული ერბოწონა შვილს არა, აღ-
ბათ გაგვიჭირდებოდა. ეკონომისტი კაცია
ენათლებით და მშვენივრად იცის მანეთის
ფასი — იგრე კაპიკს ვერ გააადებინებ,
მაგიორ წილში თუ კაპიკ ნახევარს მაინც არ
მოეღისო. მერე გაუცინა: რასაკვირველია,
პურიჭამა არა მაქ მხედველობაშიო! მაგან
ხომ ამ ათიოდე წლის წინათ 200 ჰექტარი
ვაზი ჩაიბარა, სადღესოდ 1000 ჰექტარზე
მეტი გვიყენიაო.

დამშვიდობებისას ვკითხეთ: — როგორც
დღეუგატი, ამ ბოლო სუთ წელიწადში უფრო
მეტად რამ გაახარათ-მეთქი? „ნოხები და

ფარდაგებვიო! ჩამოაწიწიწი... რან გაჭაქ-
ხარა და, სოფელ უდაბნოდე გაყვანილმა 27
კილომეტრმა მოსაფლტებულმა ვანო (დანა-
რჩენი 15 კილომეტრიც მალე იქნება მზა!),
თვრამეტმა საბავშვო ბაღმა და ერთმაც სა-
შუალო სკოლამ (თანაც თითუბზე ითვლის),
იორის რკინა-ბეტონის ქარხანამ, მთელ სა-
ქართველოს რო ამარაგებს ლითონკონსტ-
რუქციებით... ახლა კიდევ — ეს სპორტული
კომპლექსი ვარო, ეს სავაჭრო ცენტრიო,
ესა კიდენა კულტურის სასლები პატარძე-
ულსა და ხაშშიო. რა ვი, აბა, რომელი
ერთი ჩამოვთვალო?! ჰო, ემანდ, საექსპორ-
ტო ღვინოების ქარხანა არ დამავიწყდეი,
ჯანი გავარდეს — თვითონ ცოტა ვსვათ და
სხვებს ბევრი მიჰყვიდითო!...

გულიანად რო გაიცინა, ისევ უდაბნოს და-
უბრუნდა: — სუ მალე უდაბნოში სასმელ
წყალს მიიღებენ, თორე იმ სუთთახიანი
კოტეჯების აშენებას რა აზრი ჰქონდაო?!
ან აფთიაქი რალა საჭიროა უწყლოდ, ან
სავაჭრო ცენტრი, ან იმ 54.000 სულ ღორს,
ახლა რო კომპლექსის შენებას იწყებენ, რა
დაარწყულეებსო?!

— კიდევ ვთქვაო? — როგორც გნებავთ-
მეთქი. — კიდევ იმან გამახარა ძრეელა, რომ
კრასნაგორკაში ერთი მეგობარი მყავ, როცა
კი ვესტუმრი, დილა-საღამო სუ ღვინის
სმაში ვატარებდით, ახლა კულტასანლს აშე-
ნებენ იქა და კინოთი მაინც შევიქცევთ თავ-
საო. — როგორ ბრძანეთ, მეგობარი სადა
გვავთ-მეთქი? — კრასნაგორკაშიო! მერე გა-
მასხენდა, დღევანდელ სარაგოულს აგერ
ომის დაწყებამდე აქვლები „ბელაგორს“
რომ უქანდნენ სოლმე და კიდევ ერთხელ
აღინიშნა ჩვენს საუბარში... სიცილი.

ესაუბრა „ნიანგის“ სპეცკორესპონდენტი
გიზო ზარნაძე
მეგობრული შარჟი მ. გომოლაძისა

ნახ. ბ. კეტირაშვილისა




— კაცო, შენ მაინც გაიხსენე, სად იდგა ჩვენი ტრაქტორი?
— დავიცადოთ, დადნეს თოვლი და მერე მოვძებნოთ!


ნახ. ა. ასლამაზაშვილისა




უსიტყვოდ



უსიტყვოდ



ორმხრივი გატაცება



უსიტყვოდ



თამაზ ლაცაბიძეს ყველა მიგასწავლით ხაშურში. ამ 45 წლის კაცმა მოასწრო საინტერესო შრომითი ბიოგრაფიის შექმნა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მივიდა იგი შუშის ქარხანაში. ახელ-დახედეს ბიჭს, თითქოს მის შესაძლებლობებს წონიანო, და ფორმების დამყალიბებელი მემანქანის თანაშემწეს მიაბარეს მოწაფედ. ცოტა ხანში ბეჯითმა ყმაწვილმა თანაშემწე შეცვალა. ახლა იგი დამყალიბებელი მემანქანეა, თავისი საქმის გამოცდილი სპეციალისტი.

თამაზ ლაცაბიძე რომ გეგმა-დავალებების შესრულებაში პირნათელია, ამაზე მეტყველებს ის პატივი, რაც მას მიაგეს რაიონულ



გუგური დინასტიის სათავეუი



თამაზ ლაცაბიძე

პარტიულ კონფერენციაზე — იგი ერთხმად აირჩიეს საქართველოს კომუნისტური პარტიის 27-ე ყრილობის დელეგატად. ხაზგასასმელი კიდევ სხვა არის: აღნიშნული წარმოების კერამიკულ საამქროში თამაზის მეუღლე მუშაობს, ხოლო სარემონტო უბანში — მისი ქალიშვილი. ვაჟიშვილი ახლახან დაბრუნდა სამხედრო სამსახურიდან და, ვინ იცის, იქნებ მუშური დინასტია კიდევ უფრო გაძლიერდეს. მაშინ კი სრული უფლებით შეეძლება თქმა თამაზ ლაცაბიძეს: ქარხანა ჩემი ოჯახია!

ჯამალ ივაია,

„ნიანგის“ სპეცკორესპონდენტი.
შეგობრული შარჟი ნანა ფსიტიქისა



**ხუმრობით
აღებული
სარიოზული
ინტერვიუ**



ვანტანბ არაბიძე

შენიშნა თუ არა ზესტაფონელებმა მდინარე ყვირილიდან მოსული, მთლად გა-
შავებული და სიცივისაგან ლამის გაყინული
ნიანგი, ხელი სტაცეს და გასაშრობად
ფეროშენადნობთა ქარხნის იმ გაავრვარე-
ბულ ლუმელთან დასვეს, რომელსაც მე-4 სა-
ამქროს მდნობელთა ბრიგადა ემსახურება.

— ვინ არის? — იკითხა მდნობელთა ბრი-
გადირმა **ვანტანბ არაბიძე**მ, სა-
თვალე მოიხსნა, ნიჩაბი განზე გასწია და
სტუმარს დაეკერდა.

— გამოდი, არ გიკბინოს! — გააფრთხი-
ლა მეკაზმემ, — ნიანგია მაგი!

— მიკბენს და, შევაგდებ აგერ ლუმელში,
კაი სილიკომარგანეცს მივიღებ მაგისგან!

— თუ გინდა, დასვეს ნიჩაბზე და მოვის-
როლი მიღწი, მე შენ გეტყვი, ვერ გავაძე-
რენ, მაგი კი არა, სატვირთო ავტომობილი

გაეტყვა შიგ! — თქვა ოფლში გაღვრილმა
მეკერემ.

— არ გინდა! — შეაჩერა ბრიგადირმა, —
სტუმარი ღვთისსა! შევათბოთ, მოვასულიე-
როთ და იტყვის ალბათ მერე, სად მიდის,
ვის ეძებს ან რატომ ჩამოვიდა ჩვენთან.

— ჩვენი რაიონის სავაჭრო ქსელში ახალი
დადგენილების შემდეგ 300 ტონა შაქარი
„ჩაწვა“, ღვინოს აღარ აკეთებენ, იქნებ შე-
მორჩა ვინმეს ჩვენებური „ქრანჭა“ და ხომ
არ დავალევირით? — წამოაყენა წინადადე-
ბა მდნობელმა.

— არა! მოკლავს! ისედაც მონგრეული
აქვს ღრანჭი! — უპასუხა ლითონის ამრჩე-
მა.

— არაბიძე ნიანგთან მივიდა.

— კაი საქმეზე არ იქნები მოსული შენ!
ვის ეძებ?

— საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს
დებუტატს, შრომის დიდების მფორე და მე-
სამე ხარისხის ორდენების კავალერს, ზესტა-
ფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მე-4 სა-
ამქროს მდნობელთა ბრიგადის ხელმძღვა-
ნელს — ვანტანბ არაბიძეს, საბჭოთა კავშირის
კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატად
რომ აირჩიეს. ვიცი, გამიძნელებდა იმ კაცის
ნახვა. ქვეყანაზე რაც ტიტულები და ჯილ-
დობები, ყველა იმისთვის მიუციათ და ვინ
გააჩერებს ასეთ კაცს სამუშაოზე?! ალბათ
ახლა სადმე კრებაზე ან თათბირზეა!..

— მაგი მე ვარ! — უპასუხა ოდნავ ნირ-
მეცვლილმა არაბიძემ, — მაგრამ რა მჭირს
სანიანგო?

— ის რომ ზედმეტს ირჯები, ამხანაგო
ვანტანბ! გეგმებს 100-150 პროცენტით ას-
რულებ და იმდენ სილიკომანგანუმს, ფე-
რომანგანუმსა და ფეროსილიციუმს უშვებ,
აღარ იცის, რა უყოს ქვეყანამ! მერე კიდევ:
სუთწლედის გეგმა ივნისში შეგისრულებია!
რა ამბავია, ცხვირში ხომ არ გაქვს სული?
მოგეცადა ცოლა და გეპატაკა ყრილობისა-
თვის?! მერე კიდევ: მეთერთმეტე სუთწლე-
დში 26-ე ყრილობის დელეგატი იყავი,
მე-12 სუთწლედში 27-ე ყრილობის დელე-
გატი ხარ! არაა ვითომ ნამეტანი? ერთხელ
სხვასაც რომ დაუთმო დელეგატობა და ერთ-
ხელ მაინც სხვაც გასდეს საქართველოს
კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევ-
რი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს
დებუტატი, აწყენს ვითომ? მეღლები და
ორდენები ხომ არავის დაუთმე! ახლა ქარხ-

ნის პარტიული კომიტეტის წევრიც გამხდა-
რხა!.. პროფკავშირის კომიტეტის წევრობა
არ გინდა?

— პროფკავშირის კომიტეტის წევრიც
ვარ!

— სოციალისტური შრომის გმირობაც
ხომ არ გაქვს გუნებაში?

— ჩვენი გმირობას ყველა ადამიანისაგან
არ ითხოვენ, მაგრამ ფეროშენადნობთა ქა-
რხანაში უკვე აღიზარდა სამი სოციალისტუ-
რი შრომის გმირი, საბჭოთა კავშირის სა-
ხელმწიფო პრემიის 8 და საქართველოს სა-
ხელმწიფო პრემიის 2 ლაურეატი.

— არა თქვა ახლა, ერთ-ერთი ლაურეატი
მე ვარო!

— საქართველოს სახელმწიფო პრემიის
ლაურეატობა 1979 წელს მომინიჭა, რა, გიკ-
ვირს? ჩვენთან, ქარხანაში, 28 დამსახურე-
ბული ინჟინერი, 17 საქართველოს დამსახუ-
რებული რაციონალიზატორი, 25 საპატიო
მეტალურგი, 2 ტექნიკისა და 2 ქიმიის მეც-
ნიერებათა კანდიდატი მუშაობს.

— ეტყობა, თქვენს ქარხანაში ყველა რჩე-
ულ ადამიანს მოუყვრია თავი.

— არც მთლად მასეა საქმე. ჩვენთან ისე-
თებიც არიან, ზესტაფონიდან სამტრედიამდე
რკინიგზის შპალებს რომ ითვლიან. ზოგი
კი, ცხრა იაპონური საათიც რომ შეაბა მა-
ჯაზე, მაინც გკითხავს: — „მასტერავიმი“
ჩამიყვარა? — შენც იმუღებუდი ხარ, უპასუ-
ხო: — „აჰა არა?!“ ის კი წავა და თავისთვის
ჩაილაპარაკებს: — „მოუწველი, აბა, ძროხას!“

ხუმრობა იქით იყოს და, 50 წელი გავიდა,
რაც ზესტაფონში პირველი მეტალურგიუ-
ლი ლუმელი აგიზგიზდა და მასთან დადგენ
ვაუკაცური პროფესიის ადამიანები — ფერო-
მდნობელები. მას შემდეგ ეს ცეცხლი კი-
დეც უფრო გაძლიერდა, იმატა ნაღობმა,
იმატა ცეცხლთან შეჩვეული ადამიანების
რიცხვმა, იკლო საყოველთაოდ ცნობილმა
ზესტაფონურმა კვამლმა, ახლა აქ გაზგამწმე-
ნდი მოწყობილობის მძლავრი კომპლექსი
ყოველდღიურად 70 ტონაზე მეტ მანგანუმს
მტვერს ისრუტავს. ძნელია ყველა იმ წარ-
მატების ჩამოთვლა, ყველა იმ მიღწევის გახ-
სენება, ამ 50 წლის მანძილზე რომ მოი-
პოვებს ზესტაფონელმა მეტალურგებმა!..

**ესაუბრა „ნიანგის“ ხეცკოვსკონდენტი
რეჟისორი ისკანდეროვი**

მეგობრული შარჟი თ. გოგოლაძისა

რას აკეთებს იგი, ნეტავ,
კაბინეტის კარს რომ ეტაცვს?
ბახუბი ჰყავს თურმე ხატად,
ვილაცამ თქვა: „მამლებს ხატავს“.
თუ შეისწრებთ, მაღლი გამჩენს,
მას თუ სადმე აღმოაჩენთ!
ყოყოჩობს და თავს სწევს მაღლა,
კაბინეტში თუკი ნახავთ!..
თავს სწევს მაღლა, როგორც ალაშს,
არც შეგხედავს, თვალეებს მაღავს
(წინ რა უღვას მაინც საღამს?)
მანაც შესვა ის „სამსალა“!..
თავს არ უტეხს განათლება,
ჭირკი კაცად გაითლება?
იზღვირება, ხმას არ იღებს,
ამთქნარებს და სულ თავს იფხანს,
არ გაღირსებს პასუხს დიდხანს,
ყველასაგან ითხოვს ხობხვას,
გადმოგიგდებს: „ხვალ-ზეგ მოხვალ“

**ვურ აშუქვის
ნათიანა!**

ეფერება თავსა რაკი,
არ აკლია აგარაკი,
იცის, რაა ნეტარება,
ქეფი და დროსტარება!..
მის ღუღუქვზეც ბევრი უკრავს,
იცის, ვის ჰკრას პანდური და,
იცის, თავი ვის დაუკრას!..
შურით უცქერს სხვის სიკეთეს,
სხვამ იკითხოს, თორემ კარგად
„თავის საქმეს“ კი აკეთებს!..
რა მგლის მადამ გაახელა?
არც კი გახლავთ სკამისხელა!..
ციინება დიდმუცლიანს, —

მისთვის ჭერ არ მოუცლიათ!..
გავარდება მალე მენი,
დაუცდება კიდეც ფენი,
გაუგებენ ყველა ამას,
ვერ უშველის ნათლიამა!

ღავით ხუმრობა




ნახ. ვ. ლოლუასი



— რავა კოსმონავტივით გამოწყობილხარ?! სად მიდიხარ, შე კაცო?!
— აგერ, ჩვენს მაღაზიაში, ასე რომ დამინახვენ, იქნებ მაშინ თავის ფასში მაინც მომცენ მაგარკოლოფიანი „კოსმოსი“!



— რაც ჩვენს სოფელში ლოთობა შეწყდა, ლამბის შუშებიც გამოჩნდა!



სხვადასხვანაირად ხსნიან და განმარტავენ:

— ნავთის ფონდი ზამთრის დადგომამდე ამოიწურა! — ამბობენ ზუგდიდის ნავთობპროდუქტების ბაზაში!
— ცოტა რაოდენობით უშვებენ ფონდს, ვერ ვაკმაყოფილებთ სოფლების მოთხოვნილებას! — გეტყვიან ზუგდიდის რაიკოოპკავშირის გამგეობაში.
ამასვე გეტყვიან წალენჯიხისა და ხობის რაიონებშიც!..

ქალაქ ცხაკაიაში კი მოკლედ და გასაგებად გიპასუხებენ: ნავთი არაა ფიზიკურად!

მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ ნავთი არსებობს ქიმიურად, ესე იგი, არის ქიმიურ შენაერთთა შორის და ის ზამთრობით მაინც განდება ხელმისაწვდომი მშრომელებისთვის, თუ ამ საკითხით სერიოზულად დაინტერესდებიან საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს რესპუბლიკური საცალო-საბითუმო გაერთიანება „საქსათობომშენვაჭრობის“ თავკაცები და ცეკავშირის შესაბამისი სამსახურები!

ანზორ პარამია,


„ნიანგის“ შტატგარეშე კორესპონდენტი ზუგდიდის ზონაში.

306 მოთვლის, თავის დროზე რამდენი კერა გაუთბია და გაუნათებია ნავთს — ამ საყოველთაოდ ცნობილ უბრალო საწვავ სითხეს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძველად ყოველ ოჯახში ყოველგვარ ნივთზე უფრო ძვირფას და საჭირო საგანს?!

ერთი სიტყვით, ნავთი ჩვეულებრივი ნივთი კი არ იყო, არამედ ცხოვრებისათვის მეტად აუცილებელი საშუალება გახლდათ!

ნავთს არც ჩვენს განვითარებულ ეპოქაში დაუკარგავს თავისი ნივთიერი ძალა და ღირებულება. ეს რომ ჭეშმარიტად ასეა, ნათლად ირკვევა ცხაკაიის და მისი მეზობელი სხვა რაიონების ცხოვრების მაგალითზე. ამ რეგიონის მოსახლეობაში, განსაკუთრებით სოფლად, ნავთზე ახლაც საკმაოდ დიდი მოთხოვნილებაა, მაგრამ უკანასკნელ წლებში იგი სავაჭრო ორგანიზაციებში ან ცოტა რაოდენობით შემოდის, ან საერთოდ არ გამოჩნდება ხოლმე. ამის მიზეზს კი ადგილების მიხედვით





ლათინური ამერიკის ქვეყნების აშშ-სათვის გადასახდელმა ვალმა 360 მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც გამოწვეულია პროცენტების მძარცველურა ზრდით.

გაზეთებიდან



სატირქოსა და იუმორის შუარნალი „ნიანგი“ № 8 (1709) თებერვალი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლჭავაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადღიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჭაბუა ამირჯიბი, ნოზა ბართაია, ზორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჭემონ ლოლუა, ნოდარ მალაზონია (მხატვარ-რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიფწივაძე, ნაფი ჭუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გალაქცა ასაწყობად 6. 01. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3. 02. 86 წ. ქალაქის ზომა 60X90^{1/4} ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,25, საარტიცხო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კბ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14. შეკვეთა № 15. უე 05020. ტირაჟი 143.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54. მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგებების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან — მემანქანის — 99-76-69.

სატირიკო - юмористический журнал «НИАН-ГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი.
ინდექსი 76137



დამოკლეს მახვილი

